572/1989/2

ISSN 0132—5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1989 წ. თებერვალი № 2

# დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგელოცოს

ლია კობალაძე

გაფენილა ხალიჩებად,
გაუშლია ფარჩის კალთა,
მზეს ხმელეთზე თვალი რჩება,
უსურვაზი ჩაუხლართავს.
ვერსად ნახავ ასეთ ედემს,
ასეთ ზღვას და ასეთ ზეცას,
უნატიფეს მთებს თუ ქედებს,
ასეთ ქედანს, ასეთ მერცხალს.
იყალთოს თუ ნიკორწმინდას,
ჩუქურთმებში ჩასმულ თაღებს,
ასე უხვს და ასე მდიდარს,
ბარაქიან ბაღჩა-ბაღებს,
ასეთ ვარდებს, ასეთ ნიავს,
თვალუწვდენელ ზვრებს თუ ვაზებს,
ასეთ ნანატრ ია-იას
უნაზესს და ულამაზესს.
ეს სამოთხე მშვენიერი,
ეს ქართული კუთხე-კარი,
მამულია შენი ერის,
შენი პაპის ნააკვნარი.
იღუღუნე კიდითკიდე,
იჭიკჭიკე ჩიტის ენით,
გაიხარე, გაიკვირტე,
გაიზარდე წიგნიერი.
დაგელოცოს ეს ლაჟვარდი,
გულის სითბო, მიწის მადლი,
ამ ხატულა საქართველოს
მოუთვლელად მოუმრავლდი.

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარჯი და ირემი

ოთარ მამფორია

(გაგრძელება)



მთხრობელი – ისმის მგლის ყმუილი, გულის დამკოდავი
და ხეებში გაბმით ბღავის შმაგი ქარი.
ფრინველთ სტვენა შეწყდა, დაიბინდნენ მთები
და უბედურ ჯარჯის ტოვებს ფურირემიც.
უცებ გაჩნდა მთვარე, მთა-ველს გადახედა.
ტყეში მთვარის სხივებს მელა კუდით ხვეტავს.
ნაზამთრალი დათვიც თათებს სცემს და ბრდღვინავს.

დათვი – ეს ოხერი მთვარე რა თავლივით ბრწყინავს!

მთხრობელი – და მხეცებმაც ერთად, აღარ დაახანეს,
საწყალ ჯარჯის ირგვლივ თავი მოიყარეს.
საკუთარი ფეხით აქ მოვიდა ვეფხვიც.
ტორს აღმართავს ლომი, ვით სისხლიან ხანჯალს.

ლომი – აბა, მონადირეს გაუსინჯეთ მაჯა!

მელა – ერთი, ორი, სამი, ხუთი, ექვსი, შვიდი...
კვდება, დიდო მეფევ, მონადირე ფლიდი!

ლომი – ყველამ იცის კარგად ჩვენი ჯუნგლის წესი.
მე ვარ ნადირთ მეფე, უძლეველი მხეცი.
ახლა ყველა წადით, ნუღარ დგახართ უქმად,
მე ამ მონადირეს დავგლეჯ ლუკმა-ლუკმად.

მელა – სწორი არი, ბრძენო, მაგრამ ამას გეტყვით.



ვეფხვი ამბობს თქვენზე: მე ვარ მასზე მეტი.

ლომი – რაო, რაო, რაო, გამაგონე, ძმაო!

მელა – მე ლამაზიც ვარო, თან ჭკვიანიც მეტად.
ამხელა მიწაზე ვერ ვეტევით ერთად.

მთხრობელი – უჩურჩულა მელამ, გადარია ლომი
და ვეფხვს ყბაში გაჰკრა თავის მძლავრი ტორი.
შეიმართა ვეფხვიც და კბილებში ეცა.
ატყდა ჯახაჯუხი და ტოტების ლეწვა.
უცებ შეწყდა ელვა და გრიალი მეხის.
მკვდარი ვეფხვი გდია დაჭრილ ლომის ფეხთით.
მელამ წამით უხმო დათვს და მშიერ მგელსა.

მელა – ახლავ შევწყვეტ, ძმებო, დაჭრილ ლომის კვნესას.
მივალ, თითქოს მკერდზე მალამო მსურს წავცხო.
დათვო, შენ იმ წუთში თავში უნდა ჩასცხო.
შენ კი, მგელო, უცებ მივარდები ყელში,
მერე ჩვენ დაგვრჩება მონადირის ლეში.

მგელი – აგაშენა ღმერთმა, მეც ეს უნდა მეთქვა.

მთხრობელი – ჯერ მობანა მელამ ლომს ლომური სისხლი,
მერე მოეფერა, ვით ექიმმა იცის.
დათვმა თავში დაჰკრა, მგელი ყელში ეცა

19037

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.

და მხეცებში სული განუტევა მხეცმა.
გაიხარა მელამ, თვალი დააჭყიტა.
მელა — ახლა იმ ჩვენს მეფეს ამოვუღებ ჯიგარს.
გამოვშიგნავ უცებ, ნუ გაქვთ რამე იჭვი.
თქვენ კი მოიტანეთ მწვადისათვის ფიჩხი.
შევწვათ, ვინადიმოთ ამ დაბურულ ტყეში.
მერე დავაყოლოთ მონადირის ლეში.
მთხრობელი — მოიმარჯვა დანა, ლომის მუცელს ფატრავს.
დათვი ფიჩხზე მიდის, მგელიც მისდევს მარდად.
მელა — შენ აქ დარჩი, მგელო, იცი დანის ლესვა.
დათვი თვით მოიტანს სანაკვერჩხლე შეშას...
(დათვი მიდის)
— სულელია მართლა, პირუტყვი და მხეცი,
სმენა ვირისა აქვს და თვალები ბეცი.
ვის რად უნდა მაგის ან ფიჩხი, ან შეშა,
ვერ გაიგო, დანას რომ მაგისთვის ვლესავ?!
მგელი — აგაშენა ღმერთმა, მეც ეს უნდა მეთქვა.
მთხრობელი — მობანდალობს დათვი, თანაც მოაზოლებს,
ათამაშებს მაღლა მუხის შეშის კონებს,
ცეცხლის დასანთებად თან იხრება დაბლა.
მელა — მგელო, მიეპარე და შენ იცი ახლა!
მგელი — ცეცხლს უბერავ, დათვო, თუ მაგ ოხერ თათსა.
მთხრობელი — დათვს დააცხრა უცებ დამშეული მგელი
და წაქცეულს უმალ გამოსჭამა ყელი.





ჯარჯი ხედავს შიშით ამ შემზარავ ამბავს,
მაგრამ დაზაფრული უფრო გაინაბა.
აბა, რაღას იზამს, თავსაც მაღლა ვერ სწევს.
აგერ ლომი გდია, ვეფხვი იმის გვერდზე.
ცეცხლში ჩამხობილი მკვდარი დათვი იწვის.
მელა, კმაყოფილი, ვერ იკავებს სიცილს.
მელა — ლომის ხორცი, მგელო, იქნებ გეამება!
მგელი — დათვის სუკიც ხშირად ძილში მესიზმრება!
მელა — ჰე, ძმობილო მგელო, კმარა მწვადის ჭამა.
აგერ, ვერხვის ქერქი გამოვთალე ჯამად.
შევსვათ ლომის სისხლი, წითელ ღვინის დარი,
იქნებ ჩვენაც მისი მოგვემატოს ჯანი.
მთხრობელი — თან საწამლავს ჩუმად აბნევს სავსე ჯამში.
მგელი — აგაშენა ღმერთმა, მეც ეს უნდა მეთქვა!
მთხრობელი — მგელი მგლურ სიხარბით ასწევს ჯამს და დაცლის
და კვლავ შესავსებად ისევ მელას აწვდის.
მაგრამ მოცელილი ისე დავარდება.
სიტყვას ვეღარ ასწრებს და ღმუილით კვდება.
მაგრამ უკვე ასხამს მელას სიმწრის ოფლი:
ჯარჯიმ დაუმიზნა პაპამისის თოფი.
მელა — ნუ დამღუპავ, ძმაო, მე რას მერჩი, ბეჩავს,
მე ხომ შენი ხსნისთვის ვებრძვი ყველა მხეცსა!
ასეთ ერთგულ მონას კაცი, აბა მოჰკლავს?
მე მოგართმევ საჭმელს, მათარას და კომპასს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაგიყვან და გზაზე დაგაყენებ, ძმაო,<br>
თოფსაც წამოგიღებ, ჩვენ რა გვაქვს სადავო!

მთხრობელი — ჯარჯი კარგად ხედავს იქვე მოკლულ მხეცებს.

ჯარჯი — ჰე, მელიავ, მითხარ, შენ ეს როგორ შესძელ?

მელა — როგორ? აბა, რა ვქნა, ჩემო ტკბილო ძმაო,<br>
ვერ დაარღვევს მხეცი ჯუნგლის სასტიკ კანონს.<br>
ძლიერი მე შემჭამს, ცხოვრებაა რთული.<br>
სხვა რა უნდა მექნა, გავიმარჯვე ჭკუით...

ჯარჯი — მე ცოდვა მაქვს, მელავ, მე ვარ ირმის მკვლელი<br>
და საერთო თქვენთან არ მაქვს არაფერი.

მელა — ეგ რა ცოდვა არი, მეტი ველარ შესძელ?<br>
ხედავ, ჩემგან მოკლულ ამ უხიაგ მხეცებს,<br>
თუკი შენს მტერს მოკლავ, ცოდვა არი ესეც?

მთხრობელი — თანაც ჯარჯის თოფი მელას რიხით მიაქვს<br>
და ლულიდან ჩუმად ამოიღებს ტყვიას.

ჯარჯი — რას სჩადიხარ, მელავ, ნამუსი არ გყოფნის?

მელა — ახლა რაღას მიზამ, უტყვიოდ გაქვს თოფი!

მთხრობელი — თოფს დააგდებს მელა, წინ გახტება წამსვე.<br>
მაგრამ უცებ ზებრა დაადგება თავზე.

ზებრა — სად ხარ, შე მაცდურო, მომკლა შენმა ძებნამ!

მთხრობელი — თქვა და წიხლი მელას ჩააზილა ზებრამ.

ზებრა — კანონის სახელით ვაპატიმრებთ მელას<br>
და ვუბრძანებ ჭაბუკს, ამ ამბავის მოწმეს,<br>
ურჩევნია სწორი ჩვენება რომ მოგვცეს,<br>
გვითხრას, მისი თოფი მელას როგორ ანდო,<br>
ვინ გაწყვიტა ასე ჯუნგლის საბელადო!<br>
შენ კი ექსპერტ-ფოცხვერ, აბა, სისხლი ლოკე,<br>
ნადირთ მეფე — ლომი მოწამლეს თუ მოკლეს?

ფოცხვერი — დავაზუსტე ყველა, დავსვი ხელმოწერაც,<br>
ლომის მკვლელთა შორის ცოცხალია მელა.<br>
დავასკვენი ბოლოს, აღარ უნდა ფიცი,<br>
ამ ჭაბუკმა ყველა უფრო კარგად იცის.

მთხრობელი — წინ გაიგდეს მელა, უკან მისდევს ჯარჯი.

ჯარჯი — მე რას მერჩით, აბა?! საქმეს თვითონ განსჯით.

ფოცხვერი — შენც რაღაც საეჭვოდ აბრიალებ თვალებს.<br>
მოწმე ხარ თუ იქნებ, შენ ხარ დამნაშავე.

ზებრა — ო, საეჭვო არის მაგის თვალთმაქცობა,<br>
იქნებ გაუწია მელას თანაგრძნობა<br>
და ნადირთა სიკვდილს თვლიან მამაცობად.

ფოცხვერი — იქ იტყვიან მართალს, სასამართლოს შიშით,<br>
თუმცა უკვე გვანან ორივ სიკვდილმისჯილს.

ჯარჯი — ღმერთქალო ნადირობისავ,<br>
მიშველე, ცილსა მწამებენ!

დალის ხმა — ერთ ცოდვას როცა ჩაიდენ,<br>
სხვასაც შენ დაგაბრალებენ!

**(დასასრული იქნება)**



მხატვარი **ლალი ლომთაძე**

# რატომ შეიძულა გიამ ნადირობა

ნოდარ კორძაია

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ბიბლიოთეკა

გიას მამა ინჟინერი იყო, ბევრს შრომობდა და თავისუფალი დრო ცოტა რჩებოდა. მაგრამ შვილს ყურადღებას მაინც არ აკლებდა. სამსახურიდან დაბრუნებული აუცილებლად ჩაიბარებდა მისგან გაკვეთილებს. გიამ იცოდა, რომ გინდაც დაძინებული დახვედროდა მამას, მას არაფერი გამოეპარებოდა, ამიტომ ეტყოდა ხოლმე ტოლებს: — არა, ვერ წამოვალ ბურთის სათამაშოდ, გაკვეთილების მომზადებას ვერ მოვასწრებ და მამაჩემი დამსჯის.

— დაგსჯის, თორემ ჯერ არ უცემიხარ, — აჯავრებდნენ ტოლები.

— მამაჩემს არასდროს არ ვუცემივარ. სხვაგვარად მსჯის — მთელი კვირა არც სათამაშოდ გამიშვებს, არც ძია სერგოსთან.

— ძია სერგო ვინ არი? — ჰკითხავდნენ ხოლმე მეგობრები, მაგრამ გია უპასუხოდ ტოვებდა მათ კითხვას. აბა, როგორ აეხსნა თანატოლებისათვის, რა იყო მისთვის სერგო ძია: მასზე ძლიერი, გამბედავი და უშიშარი ვაჟკაცი ხომ არსად ეგულებოდა და მუდამ ცდილობდა, მისთვის მიებაძა.

სერგო ძია მეზობლად ცხოვრობდა, მონადირე იყო და გიაც ყოველ კვირასაღამოს ეზოს ჭიშკართან ხვდებოდა ნანადირევით დატვირთულ უფროს მეგობარს. სახლშიც შეჰყვებოდა. ჯერ ვაზნებს დათვლიდა და მერე ნანადირევ მწყრებს:

— მიზანს ორი დაგვიცილებია! — ისე ამაყად იტყოდა, თითქოს ძია სერგოსთან ერთად მასაც ენადიროს.

ძია სერგოც ყურადღებას არ აკლებდა მისთვის საყვარელ ბავშვს. ასწავლიდა თოფის ჭერას, მოვლა-პატრონობას. ნადირობის ამბებს უყვებოდა და სანადიროდ წაყვანასაც ჰპირდებოდა.

გია ისე გაიტაცა ნადირობაზე ოცნებამ, რომ ერთ დღეს ლეკვიც კი მოიყვანა სახლში და დედას შეევედრა:

— შენი ჭირიმე, დედიკო, ყველაფერს დაგიჯერებ, კარგად ვისწავლი, ოღონდ ლეკვს ნუ გააგდებ სახლიდან.

— კარგი, კარგი, შვილო, დაეთანხმა დედა, — მაგრამ მაგ ლეკვს ნუ გადაჰყვები.

გამოხდა ხანი. ერთ დღეს გიამ სუფთა წერაში ოთხიანი მიიღო. მიხვდა, მამა რომ ამას არ აპატიებდა და ლეკვი სერგო ძიას წაუყვანა. გიამ მალე გამოასწორა სუფთა წერის ნიშა-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნი და წლის ბოლოს თვალებგაბრწყინებული წარუდგა მამას:

— აი, მამა, ჩემი ნიშნები, ეს — ქების სიგელი! ესეც წიგნი, რომლითაც სკოლის დირექტორმა დამაჯილდოვა.

— ყოჩაღ, შვილო! ახლა, რაც გინდა, მთხოვე. — მიუგო მამამ და შუბლზე აკოცა.

— არაფერი არ მინდა, ოღონდ ძია სერგოსთან ერთად სანადიროდ გამიშვი. ხომ შემპირდი?

— კარგი, შვილო, ვთხოვ.

... ბიჭს მთელი ღამე არ უძინია. დილაუთენია უნდა წასულიყვნენ სანადიროდ. ყოველი მანქანის ხმაზე წამოხტებოდა და ფანჯარაში იყურებოდა. ბოლოს კი მაინც ჩაეძინა...

— აი, უკვე სანადიროდ არიან. გიას საბავშვო თოფი უჭირავს და ძაღლს უკან მიჰყვება. უეცრად ძაღლი შეჩერდა და გაქვავდა. „ალბათ, ესაა ნაბული“, — გაიფიქრა გიამ და ძია სერგოს ძახილიც შემოესმა: — „ძაღლს მიხედე“! გიამ თოფი მოიმარჯვა და — ეცი, ეციო! — შესძახა. ძაღლი გადახტა და მწყერიც ამოფრინდა. მაშინვე იგრიალა ძია სერგოს თოფმა და მწყერი ბალახებში ჩავარდა.

— ეს დედამწყერი იყო, გია. აქ სადმე ალბათ ბარტყები ჰყავს და შვილებისათვის რომ საფრთხე აეცილებინა, აქეთ გამოგვიტყუა. — აუხსნა ძია სერგომ.

— თვითონ?

— თვითონ კი... აი, ხომ ხედავ... — და ბალახებში ჩავარდნილი მწყერი დაანახა.

ბალახებში ეგდო რუხი ფერის ლამაზი ჩიტი, რომელსაც ნახევრად ღია ნისკარტიდან სისხლი გადმოსდიოდა და თავს უმწეოდ არხევდა. გიას გული აუჩუყდა: „ეს ხომ დედაა, მაშ რას ერჩოდა ძია სერგო, ან მე აქ რა მინდოდა...“ და თვალცრემლიანმა ბიჭმა მანქანისაკენ მოკურცხლა... — გია, გია, გი-ია-ა!“ — ეძახდა ძია სერგო.

გიამ თვალები გაახილა. მამა და ძია სერგო აღვიძებდნენ. გიამ ცრემლმორეული თვალებით ახედა მათ და სანადიროდ წასვლაზე უარი თქვა.

ამის მერე აღარც ქვებს ესროდა ჩიტებს და ბარტყებსაც საკენკს უყრიდა. ხოლო ნანადირევს, ძია სერგო რომ უწილადებდა ხოლმე, პირს არ აკარებდა, რადგან ყველა ფრინველში იმ მოკლულ მწყერს ხედავდა, რომელსაც ნახევრად ღია ნისკარტიდან სისხლი გადმოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევგენი ბართაია

## მარიკა

საკითხველოდან წიგნები
გამოიტანა მარიკამ.
განა სხვის სახლში ან ბაღში,
კარიკარ ჩამოარიგა, —
სუყველა სახლში წაიღო, —
წავიკითხავო ამაღამ.
მხრებში დიდივით გასწორდა,
მიმოიხედა ამაყად.
კი წაიკითხა სუყველა,
არ გამოტოვა არც ერთი,
მაგრამ ზერელედ... ნეტავი,
რად უნდა კითხვა ასეთი?
წავიკითხეო, — იძახის,
მაინც არ იშლის თავისას,
რა წაიკითხა, — არც ახსოვს,
ბოლო სად არის, თავი სად.



ავთანდილ მეგრელიშვილი

## ავთანდილი

ციცქნა ძმისთვის, ყოველ დილით,
რძეზე მიდის ავთანდილი.
მიდის წყნარად, განა ანცობს!
ესალმება ყველა ნაცნობს.
იცავს წესებს, რიგში დგება,
უფროსების ერიდება.
რძეს იყიდის, სახლში მიდის,
მიიჩქარის როგორც დიდი.
მაგიდაზე აწყობს ხურდას,
იცის ბიჭმა, — ასე უნდა.
ბადურიდან იღებს ნაყიდს:
რძიან ბოთლებს და ტკბილ ნაყინს...
შემდეგ დედას ეშველება,
ძმას ართობს და ეფერება.
საამაყო, მარჯვე, ზრდილი
ბიჭი არის ავთანდილი!






მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟულიეტა მილდიანი

## ცისარტყელა

ცისარტყელავ, ჩემო კარგო,
მინდა, — კაბა, ჩემი სარგო, —
შენი უცხო შუქ-ფერებით
მომირთო და მომიქარგო.
ოქროს მაფო,
ოქროს სხივო,
ოქროს ქოშის დიდო მძივო,
ნიავქარის ცეკვას ვცეკვავ,
მე სხვა ცეკვა არ ვიციო.



დათო კვარაცხელია

## ბელურა

მთა-ბარს თეთრი ნაბადი
სიზმრად გადაებურა,
სიცივისგან კანკალებს
საცოდავი ბელურა.
საკენკს ველარ პოულობს,
სცივა, შია პატარას,
გულს უწუხებს ზამთრის დღე
პირქუში და ჭაღარა...
მე და ვახომ დავყარეთ
თოვლზე თბილი ნაცარი,
გავურიეთ ნაცარში
ჩენჩოც, პურის მარცვალიც,
გულს მოეშვა ჩიტუნას,
გამოცოხლდა ფრთამალი,
დავმეგობრდით... ვუვლიდით
ასე მთელი ზამთარი.
დათბა, — გაინავარდა,
დღეს არ ვიცით, სად არის,
დაგვივიწყე ბელურავ? —
კიდევ მოვა ზამთარი...



ევგენი ბართაია

## ნორჩი მელიორატორები

რა წუმპე და ტალახია,
რა გუბე და რა ტბორები!
არხი გაგვყავს, ჭაობს ვაშრობთ,
ვართ მელიორატორები.
კოლხეთი ხომ სამშობლოა
დაფნარის და ხეხილნარის,
ბაღი უნდა გავაშენოთ —
არ ჩაგრავდეს ხეხილს ნარი.




გოცო და გვანცა
მოგზაურობა ისტორიაში
ავტორი — გია დაფაური
არაბები საქართველოში (1335 წლის წინათ)
რა მძიმე დრო დასდგომია საქართველოს, იქით ხაზართა შემოსევები, აქეთ-არაბთა უღელი, ნუთუ საშველი აღარაა?!
შეხედე, ხალხი ვიღაცას ეგებება, რა ხდება?
ქართლის ერისმთავარი ნერსე დაგვიბრუნდა ტყვეობიდან!
ახალ ხალიფას უპატიებია ურჩობა და პატივით გამოუსტუმრებია!
ის ჭაბუკი არაბია, სახელად აბო, ერისმთავარს ბაღდადიდან გამოჰყოლია მსახურად.
ამბობენ, ქრისტიანულ სარწმუნოებას თვით ნერსემ აზიარა.
საქართველოს ძალიან ჰყვარებია.
გვიშველე, ნერსევ! არაბები ჩვენს რჯულსაც არ გვანებებენ!
ქართველებო! თქვენი სარწმუნოება მე ჭეშმარიტად ვცანი და მსურს ქრისტიანობა მივიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავიწყებული სიმღერა

ნუნუ ქადაგიძე

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ბამბაქულა ქალაქის თავზე გაწოლილიყო და მშვიდად თვლემდა. მისი განუყრელი მეგობარი — ნიავი არსად ჩანდა. ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას დროდადრო თვითმფრინავის ხმა თუ დაარღვევდა. უცებ ბამბაქულამ ძლივს შესამჩნევი, წყნარი რხევა იგრძნო. იფიქრა, ალბათ ნიავი დაბრუნდაო და ზურთივით შეიკუმშა, ახლა დამიქროლებს და წამიღებსო. მაგრამ არაფერსაც არ დაუქროლია. ალბათ მომეჩვენაო. — იფიქრა ბამბაქულამ და ისევ ჩათვლიმა. მაგრამ სულ მალე ისევ იგრძნო ჩუმი. ნაზი რხევა, და ისე უცნაურად. ისე საამოდ აუთროლდა მთელი სხეული, რომ მსგავსი ჯერ არაფერი განეცადა. ბამბაქულამ თვალები ფართოდ დააჭყიტა.

— ვინა ხარ?

— სიმღერა ვარ. — მოისმა პასუხად და ბამბაქულამ ახლა უფრო მკაფიოდ იგრძნო ენით აუწერლად საამო. ჰარმონიული რხევა.

— ესეც ახალი ამბავი. — გაიკვირვა ბამბაქულამ. — როდის იყო სიმღერები მარტო დასეირნობდნენ?

— მე დავიწყებული სიმღერა ვარ.

— ვის დაავიწყდი?

— ერთ გოგონას. დაეზარა მუსიკაში მეცადინეობა. ხვალ კონცერტი აქვს, თვითონ კი არ იცის, თუ დაავიწყდი.

— საწყალი გოგონა. — შეებრალა ბამბაქულას. — წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდება კონცერტზე.

— თუ ვერ გამიხსენა, რა თქმა უნდა, ცუდ დღეში ჩავარდება.

ბამბაქულა ისე შეფიქრიანდა. შუბლზე კოპები ამოებურცა.

— შენ თვითონ ხომ არ დაგვიწყებია ის გოგონა? — ჰკითხა ბოლოს.

— არა. არ დამვიწყებია, თუ სადმე ვნახე. მაშინვე ვიცნობ.

— მაშინ ხვალ დილით წამომყევი და ერთად მოვძებნოთ.

სიმღერა დაეთანხმა. ბამბაქულამ ისევ ჩათვლიმა და ისეთი ფერად-ფერადი, ზღაპრულად ლამაზი სიზმრები ნახა. თავის დღეში რომ არ მოლანდებია. თუმცა რა გასაკვირია. მასთან ერთად ხომ სიმღერას ეძინა.

დილით ბამბაქულა და სიმღერა ერთად გაემართნენ იმ გოგონას მოსაძებნად. მთელი ქალა-

ქი მოიარეს, არ დაუტოვებიათ არც ერთი სახლი და არც ერთი ქუჩა. არც ბაღები და სკვერები გამორჩენიათ, სადაც გოგონას შეიძლებოდა ეთამაშა. ხალხი გაკვირვებული იყო, როდის მომხდარა, ღრუბელი ოთახიდან ოთახში დადიოდესო, მაგრამ ბამბაქულა არავის არ აქცევდა ყურადღებას, შეუსვენებლად დაეძებდა იმ გოგონას. ჰოდა, მიაგნეს კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან გვიან. გოგონა ხალხით სავსე საკონცერტო დარბაზში სცენაზე იდგა და ისეთი შეფიქრიანებული სახე ჰქონდა, ალბათ ესესაა აღმოაჩინა, რომ სიმღერა დავიწყებოდა.

— დავიგვიანეთ, — სასორწარკვეთით აწუწუნდა სიმღერა. — ვერ მოვასწარით გაფრთხილება.

— მართლაც დავიგვიანეთ, — დანანებით დაუდასტურა ბამბაქულამ. — სულ ერთი წუთის წინ რომ მოვსულიყავით, მოვასწრებდით.

ხალხი დარბაზში ისე გაისუსა, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით. სიმღერის დაწყებას ელოდნენ, მაგრამ გოგონა აგვიანებდა, უძრავად მდგარს თვალები ჭერისკენ აეპყრო.

— ჩქარა წავიდეთ აქედან, — წასჩურჩულა სიმღერამ ბამბაქულას, — ასეთი უსიამო სცენები ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს.

მაგრამ ბამბაქულა არ დაეთანხმა.

— მოიცა, იქნებ რაიმე ვიღონოთ. — წასჩურჩულა სიმღერას. და თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეიძლებოდა ეღონა, საკონცერტო დარბაზში მაინც შეიპარა და მაღლა, ელექტროჭაღთან დაეკიდა ჭერში.

უეცრად გოგონას თვალები გაუნათდა, სახიდან დაძაბული გამომეტყველება გაუქრა და სიმღერა წამოიწყო. ბამბაქულამ თავისდაუნებურად მართლა შეძლო ეშველა გოგონასათვის. თურმე ის დავიწყებული სიმღერა პატარა თეთრი ღრუბლის შესახებ იყო, ლაღად რომ დალივლივებს ლურჯი ცის თაღზე, და მოჰკრა თუ არა თვალი, გოგონას მაშინვე გაახსენდა იგი. ისე ლაღად, ისეთი გრძნობით იმღერა გოგონამ, ყველა გააკვირვა. ჭერთან განაბულ ბამბაქულას ცრემლებიც კი წამოსცვივდა. მაგრამ თავის ცრემლების სრულებით არ რცხვენოდა, შეამჩნია, რომ დარბაზშიც ბევრს ეკიდა ცრემლი თვალებზე.

როგორც კი გოგონამ სიმღერა დაამთავრა, ბამბაქულა ჩუმად გაიპარა ღია ფანჯრიდან. იგი გოგონას მეტს არავის არ შეუმჩნევია, ყველა ისე იყო სიმღერით მოჯადოებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიახურა თეიმურაზ I-ის ეპოქის დოკუმენტებში იხსენიება. სოფელს საკმაოდ დიდი ტერიტორია სჭერია და მჭიდროდაც ყოფილა დასახლებული. იგი შაჰ-აბასის შემოსევის დროს გაუნადგურებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არქეოლოგის ნათქვამი ნიახურაზე

ცირა ქიტიაშვილი



ამოღერღა მიწამ დარდი,
ამოაგდო თიხის სურა...
„აქ ცხოვრობდა გამრჯე ხალხი,
სოფელს ერქვა ნიახურა.
სამჭედური ხმალს აწრთობდა,
ბრდღვიალებდა წითლად ქურა,
ბევრი სახნავ-საკვეთურიც
გამოკვერა, გაახურა...
მაგრამ მტერმა ეს სოფელი
უმოწყალოდ ანადგურა,
სად გზა იყო და სად სახლი
აღარა ჩანს, დაკარგულა.
დანგრეული ძველი ციხეც
შავი ხავსით დათალხულა.“

გადიბუქა ომის მტვერი,
ცას დაედო თავის ფერი,
და გამოჩნდა დედაბერი —
ცისკენ აღუპყრია ხელი.
— შვილო, დედაშვილობასა,
ვისაც ქუდი დაგიხურავთ,
მოხედეთ და უპატრონეთ,
ნუ გასწირავთ ნიახურას!
მოფართხუნდა ხეიბარიც:
— აჰათ, ხალხნო, კენტი ხარი,
არვინ დამრჩა საფიცარი,
შემოვევლოთ ჩემი თავი...
— დაუბერე საბერველო,
ახმიანდეს სამჭედური,
თუ შემორჩა სოფელს კაცი,
ვიღას გვეთქმის საყვედური.
დამიბრმავდეს ბებერს თვალი,
დღეს ცოცხალი ვინ დავთვალე,
ოთხი წლისა — ქიტას გიგი,
და სამისა — მათეს ალე.
ნასახლართან ქვრივი ტირის:
— წაიყვანეთ ეს ბიჭიო,
მამას ჰქონდა რკინის მკლავი,
პაპას — მგლური ნაბიჯიო.
ააშორე თვალი მტრისა,
დღეს შესრულდა თორმეტისა.
გამიზრდია ხალხისთვისა.
მოედანზე სესე მოჰყავთ,
ალეწია ყმაწვილს ლოყა,
უხერხულად მზეს უღიმის,
— ხედავ ეს რა მეღირსაო,
წინსაფარი ამაფარეს
ნამდვილ გუთნისდედისაო.
გადარჩენილი მუხა ამხნევებს
ფესვებგადგმული, ტოტებმაგარი.
—სულ მშვიდობაში, სულ მშვიდობაში,
ეგ ძველი გქონდეს და სხვა ახალი.
ჩიტი დასძახის: — ბიჭო სესეო,
საქებრად ენა ავილესეო,



მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

სულ ვიჭიკჭიკებ, ოღონდ მინდორზე
ხორბალთან ფეტვიც დამითესეო.
ახმიანდა ოროველა,
გაიტანა სესემ ხნული,
გადიშალა შავად მიწა,
ჩათბა თესლი ჩაკარგული,
თვალში ცხელი ცრემლი გაშრა,
აყვავილდა დედის გული.
სხვენზე კატა გაიზმორა.
ეშმაკურად ჭუტავს თვალსო,
კევრში ვირი აუროყინდა, —
— არ შეარცხვენს ბიჭი გვარსო,
ამ ოჯახში არ გამოლევს
ჩემს საჯალნე-საზიდარსო,
ჩალა-ბულას არ მოაკლებს
თავის ერთგულ სახედარსო.

მერე ბევრჯერ იყო ლხინი
ამ სოფელში თურმე ძველ დროს,
ჩიტები არ სცილდებოდნენ
უწყინარი სახლის ერდოს.
ჭიშკარს მაღლი დარაჯობდა
და ბუხარშიც ცეცხლი ენთო,
დრო ტკივილის მკურნალია
საფლავებზეც მოდის ია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კვლავ ომმა გადაიარა,
სოფელი დაწვა, გაატიალა...
იორმა თითქოს სული განაბა,
აწივლდა კოდო, გაქრა შალაფა,
გადაირუჯა მწვანე ყანები,
დაწყდნენ ვაჟები, გაქრნენ ქალები
შავთვალება და ტანლატანები.

სადღაა მუხა შრიალა?
ის დიდი მუხა გახმა,
წამოაქციეს ქარებმა,
დაიგრუხუნა სახლმაც.
ის ავი გრგვინვა-გრიალი
ჭალას მიასკდა გაღმა,
დიდხანს მოთქვამდა იორი:
რა ხმა იყოო, რა ხმა!
სადღაა სოფლის ორღობე,
ან ბილიკები ვიწრო,
ან სახლის ერდო, ჭიშკარი,
ნამწვავში როგორ ვიცნო?!
მხოლოდ ჭრიჭინა ჭრიჭინებს,
ძველ-ძველ სიმღერებს გალობს,
თავის ცოლ-შვილში ზეიმობს,
გაულეწია კალო —
არ ავიწყდებათ ჭრიჭინებს
თავისი არხალალო.
ზოგჯერ ნიავი დაბერავს,
ცივის ნიავი ლაღი,
შორიდან ხმას ჩამოიტანს
ამღერებული ბაღდის,
ადგილის დედას აღვიძებს
მძიმე სიზმრებით დაღლილს...

ამოღერღა მიწამ დარდი,
ამოაგდო ორი სურა,
ჰურით სავსე, ღვინით სავსე,
და ამბავი დაასრულა...



# ფხრეწელა

ელისო ბილანიშვილი

ერთ ლამაზ სოფელში ბებიასთან ერთად ცხოვრობდა ცელქი ბიჭი გია.

ბებიას ძალიან უნდოდა მისი შვილიშვილი ყველაზე კარგი ბიჭი ყოფილიყო და ყველაზე ნასწავლი კაცი გაზრდილიყო.

დედას და მამას მისთვის უამრავი სათამაშო მოჰქონდათ, ბებია ფანქრებს, რვეულებს და წიგნებს ყიდულობდა. გია კი ყველაფერს ამტვრევდა, ფხრეწდა და იატაკზე ყრიდა.

შეწუხდა ბებია, ადგა და ბიჭი ბაღში მიაყვანინა. იქაც მტვრევას დაჩვეულმა ხელებმა ჯერ მანქანა აქციეს ნაწილებად, მერე თოჯინას მოუგრიხეს კისერი. როდესაც სახატავი რვეულიც ნაფხრეწებად აქცია ბიჭმა და იატაკზე მიმოაბნია,

— ეს რა ფხრეწელა ყოფილხარო! — გაუჯავრდა მომვლელი და სათამაშოებთან ახლოც არ გააკარა, აღარც რვეულს აძლევდნენ და ფხრეწელაც დაარქვეს.

სკოლაში რომ მიიყვანეს ფხრეწელა, იქაც დაიწყო თავისებური. თავის წიგნები ხომ მოინარიკლა, თანაკლასელების წიგნებიც მიხი-მოხია.

— ფხრეწელამ წიგნი დამიხია!..

— გიამ რვეული გადამიგდო!

— ფხრეწელამ სამელნე გამიტეხა! — სლუკუნებდნენ პატარები. მასწავლებელმა ბევრჯერ დაარიგა, დაუყვავა, მოეფერა, დატუქსა, მაგრამ ფხრეწელას ხელში ყველაფერს ლაწალუწი და ფხრაწაფხრუწი გაუდიოდა.

ერთ დღეს სკოლიდან გამოაგდეს გია-ფხრეწელა. სახლში მივიდა თუ არა, ოთახის კარი თავისით მიიკეტა, ფანჯრებიც დაიგმანა, ფხრეწელა ხან ერთ კედელს ეცა, ხან — მეორეს, მაგრამ აღარსად კარი იყო, არსად — გასავალი, ირგვლივ უკუნი სიბნელე იდგა.

სიბნელეში ვერაფერს ხედავდა ონავარი. სიჩუმემაც შეაშინა და მორთო ტირილი, — ოღონდ ამ სიბნელიდან გამიყვანა და არასდროს არავის ვაწყენინებ, ჭკვიანი და წესიერი ბიჭი ვიქნებიო! — გაიფიქრა თუ არა ფხრეწელამ, ოთახში სინათლე შეიჭრა, ფანჯრებიც და კარიც გაიღო. ის დღე იყო და ის დღე, გიას აღარაფერი დაუხევია. სახელი ფხრეწელაც გადაივიწყეს მისმა ამხანაგებმა.

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

19037



# ბატთან მეომარი

**ვაჟა ხორნაული**

ზეზვა ხევსური ბიჭია,
უყვარს კოშკების მხარე,
წამოიზარდა, სკოლაში
ივლის მალიან მალე...
დაუდეგარი ვინმეა,
მართლაც მთიელის ჯიშის,
ხან კატას ჩაუსაფრდება
და გულს უხეთქავს შიშით,
ხან მამალს ეკინკლავება
დიდი ზვინების ჩრდილში...
მაგრამ როდესაც მახლობლად
ასისინდება ბატი,
არც მეტი და არც ნაკლები —
ზეზვა ეზოდან გარბის.
ერთ მშვენიერ დღეს აიღო
პაპის ნაქონი ხმალი,
მერე ხევსურულ ჰერანგზე
გადაიკიდა ფარი,
ბატმა რომ დაუსისინა,
დაუბრიალა თვალი,
დაიწყო ბრძოლა ფიცხელი,
უმზერს ქათმების ჯარი.
ჯერ ბატმა ჩაუნისკარტა,
ზეზვას აეწვა მკლავი,
ბატს ხმალი შემოუქნია
და გაუკაწრა თავი.
გადაირია მამალი,
ჩადგა მოჩხუბართ შორის
და, როგორც იქნა, დამთავრდა
ბიჭის და ბატის ომი.
მერე ქათმების კრებაზე
ხელშეკრულება დადეს,
რომ ზეზვა დაუმეგობრდეს
ქათმებს, ბატებს და კატებს.
ან კატას, ან ბატს, ან ქათამს
მისი რაიმე მართებთ?!

შერიგდნენ...
ახლა ეზოში
ორი მმობილი დადის:
მკლავშეხვეული ზეზვა და
თავშეხვეული ბატი.

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**



# ღირსეულად დაისაჯა

ვალერიან მოსაშვილი

პატარა ნიკოს ქუდის დახურვა ეჯავრებოდა; დაახურავდა დედა, ის კი უმალ მოიშვლეპდა და შორს მოისრიალებდა. როგორ არ აუხსნა დედამ, უქუდოდ არც სიცხეში შეიძლება სიარული, შეიძლება მზემ დაგკრას და ავად გახდე; სიცივეში, მით უმეტეს, გაცივდებიო, მაგრამ ნიკო ყურსაც არ ათხოვებდა დედის დარიგებას.

ერთხელ, ზაფხულის ცხელ დღეს, ნიკო ჩვეულებრივ უქუდოდ გავიდა ეზოში. უცებ საიდანღაც ღრუბელი წამოვიდა და მოულოდნელად მსხვილმა სეტყვამ დასცხო. ნიკომ შინ შესვლა ვეღარ მოასწრო და უქუდო თავზე ისე დააყარა თხილის სიმსხო სეტყვამ, თითქოს კოდალამ ხმელ ხეს წაუშინა ნისკარტიო. ნიკოს ღრიალზე დედა გამოვარდა გარეთ, შვილს ხელი დაავლო და დერეფანში შეარბენინა. მაგრამ საწყალ ბავშვს უკვე მსხვილ-მსხვილი კოპები მეჭეჭებივით ამოაყარა თავზე.

— აი, შვილო, რომ არ დამიჯერე, ახლა რაღას იტყვი? მე ხომ გეუბნებოდი, მზე და ღრუბელი შენისთანა ურჩ ბავშვებზე საგანგებოდ ნადირობენ- მეთქი!

ნიკო დედას კალთაზე მიეყრდნო და დადუმდა. მას შემდეგ დედის ნათქვამს ყველაფერს უსიტყვოდ ასრულებდა, რადგან მიხვდა, რომ დედამისმა იმაზე მეტი იცოდა.

მხატვარი გიორგი როინიშვილი

# ქსოვა

ლილი ზურაბაშვილი

## თვლების მიმატება

### გაკვეთილი მე-4

ნაქსოვს რომ სასურველი ფორმა მივცეთ, უნდა ვიცოდეთ თვლების კლება და მატება.

მატება შეიძლება შემდეგნაირად:

1. თვალის გამოქსოვამდე ძაფი მარჯვენა ჩხირზე გადავიტანოთ ისე, რომ ჩვენიდან გარეთ ჰქონდეს მიმართულება. (სურ. 1).

2. მარჯვენა ჩხირის წვერი ძაფს ისე გამოვდოთ, რომ ძაფი ჩვენკენ იყოს მომართული. (სურ. 2).

3. მარჯვენა ჩხირის წვერი შევიყვანოთ გამოსაქსოვ თვალში, გამოვქსოვოთ, მაგრამ მარცხენა ჩხირიდან მარჯვენაზე არ გადავიტანოთ: მარჯვენა ჩხირზე გავაკეთოთ ნამატი და იმავე თვალში გამოვიღოთ მეორე თვალი: ასეთი ხერხით შეგვიძლია ერთ თვალში რამდენიმე თვალი გამოვქსოვოთ და შემდეგ გადავიტანოთ მარცხენა ჩხირიდან მარჯვენაზე. (სურ. 3).

გამოსაქსოვ თვალში ქვემო რიგიდან შევუყაროთ მარჯვენა ჩხირის წვერი, წამოვდოთ ძაფს და გამოვიღოთ, შემდეგ გამოვქსოვოთ მარცხენა ჩხირის დანარჩენი თვლები. (სურ. 4).





შოთა ხოდაშნელი

დილის მზეს ერთად უმღერენ
და არა თითო-ოროლად.
ცისკენ წკრიალით რომ მიჰქრის,
ამ ფრინველს ჰქვია
. . . . . .

თოვლზე როცა ამოვა,
თვალი ცქერით ვერ ძღება.
გაზაფხულის მაცნეა,
თქვი, რა ჰქვია?
. . . . . . .

გიორგი წერეთელი

ახე-მა**ხე**,
ტყეში ვნა**ხე**,
ტანი აქვს და
არ აქვს სა**ხე**,
ზოგმა სიბრძნის წყარო მომცა,
ზოგმა მომცა საქოხმა**ხე**.

**კ**ოტრიალა, კოტრიალა,
**ო**რბორბალა, სწრაფი...
**ჭ**ვრიტინია ღერძზე ცხრაფად
**ა**ხვევია ძაფი.


# დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი რონიშვილი (სამხატვრო რედაქტორი) თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 5.12.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.89 წ., ქაღალდის ზომა $60\times90^1/_8$, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა № 3117.

ყდაზე ნახატი
ედუარდ ამბოკაძისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 3117.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიმღერის მოგზაური:
„ზეცა უნდა გადავლახო,
ვარსკვლავების ყამირებზე
რკინის რაში ვაბალახო“.



ღონეზეა ვ[illegible]
გარეთ გაიჯირითა,
მთელი ეზო შეყარა
თავის გუდა-სტვირითა.



რაც გსურდეთ განძი, წაიღეთ.
ოღონდ, ძველთაგან ასეა:
„კარგი დობილის შეძენა
თვალ-მარგალიტის ფასია!“

ერთად ვხატოთ, პაწაწინავ,
აჰა, ჩემი ფერადები!
ეგ — წითელი,
ეს — ნარინჯი,
ეს — ყვითელი;
გინდა მწვანე?!
ეს — ცისფერი,
აგერ ლურჯი,
იისფერიც, გენაცვალე!



ცეცხლი ვარ,
ელვა-მეხი ვარ!
არ მეკადრება ჩანჩალი.
გზას გავჭრი,
როგორც ნიახურს —
ამოღებული ხანჯალი!

გზა მიტიეთ ვაჟს —
დევგმირი ვარ!
მაშ!





იდგა თოჯინა პაწია,
ლოყაწითელა, კეკელა,
მთვარე გრეხილად მოევლო,
ვარსკვლავის ღილი ეკერა.



მხატვარი **ნანა იოსელიანი**

ამ სურათზე ბავშვების საყვარელი პოეტის, მაყვალა მრევლიშვილის ნაწარმოებების გმირები არიან გამოსახულნი. გაიხსენეთ მათი სახელები! ამაში მოგეშველებათ ზღაპარ-ლექსებიდან ამოკრეფილი სტრიქონები.